ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 58

30 მარტი
"___"_____ 2018 წ

ქ. თბილისი

,,განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის №10.46.343 დადგენილების დანართი 4-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების განწილვადების და აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' და ,,დ.ზ'' ქვეპუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' N19-78 დადგენილების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შპს ,,ხულიგანამ'' (ს/ნ 404386133) უზრუნველყოს ,,განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N 10.46.343 დადგენილების N4 დანართით გათვალისწინებული აღნაგობის პირობების 3.1 პუნქტით დადგენილი, 2015 წლის 28 აპრილიდან - 2017 წლის 28 ოქტომბრამდე გადასახდელი აღნაგობის უფლების ღირებულებისა და აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის აღნაგობის პირობების 3.1 და 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული 2015 წლის 28 აპრილიდან - 2018 წლის 28 აპრილამდე

დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 თებერვლის N18.23.50 განკარგულების დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N 10.46.343 დადგენილების N4 დანართით გათვალისწინებული აღნაგობის პირობების 3.1 პუნქტით დადგენილი, 2015 წლის 28 აპრილიდან - 2017 წლის 28 ოქტომბრამდე გადასახდელი აღნაგობის უფლების ღირებულების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის 2018 წლის 28 აპრილიდან - 2024 წლის 15 ნოემბრამდე დასარიცხი პირგასამტეხლოს გადახდისგან შპს „ხულიგანას" (ს/ნ 404386133) გათავისუფლების თაობაზე იმ პირობით, რომ შპს „ხულიგანა" (ს/ნ 404386133) უზრუნველყოფს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობის შესრულებას.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**